ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს

„ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ 2023 წლის 17 თებერვალი

სხდომის ოქმი №1

ქ. ახალციხე 2023 წელი, 17 თებერვალი

სხდომას ესწრებოდნენ:

ირაკლი ლაზარაშვილი ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი

„ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრები:

1. ნუგზარი თათეშვილი
2. ცირა მესხიშვილი
3. ნონა ონიანო
4. აშოთ კავალერიან
5. გურამი ჯინჭველაძე
6. მაია გაჩეჩილაძე
7. ბიჭიკო მოდებაძე
8. ჯაბა ნათენაძე
9. მერაბი ბერიძე
10. მაკა ბერიძე
11. შალვა ტაბატაძე
12. ციური ლაფაჩი
13. ვასილ კვინცხაძე
14. ალექსანდრე ლომსაძე
15. რომან მაისურაძე
16. ნატალია ტაბლიაშვილი
17. ნატალი სისვაძე
18. მეგი თათეშვილი

სხდომას არ ესწრებოდნენ „ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრები:

1. ამალია სარქისიან

2. ნინო რუხაძე
3. ზელა ავალიშვილი
4. ომარი ჯაყელი
5. გიორგი ბუცხრიკიძე
6. ნიკოლოზ ხიზაძე
7. თამარ კაპანაძე
8. ნინო ხაზალაშვილი
9. მანუჩარ გოგოლაური

დღის წესრიგი

1. გასული 2022 წლის შეჯამება;
2. მუნიციპალიტეტში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები და სამომავლო გეგმები;
3. საბჭოს წევრების რეკომენდაციების და ინიციატივების მოსმენა;

ახალციხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში, „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ მორიგი შეხვედრა გაიმართა, რომელსაც მერი ირაკლი ლაზარაშვილი უძღვებოდა. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა საბჭოს შემადგენლობას მადლობა გადაუხადა თანამშრომლობისათვის და დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები გააცნო. შეხვედრაზე განხორციელებულ, მიმდინარე და დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, სამომავლო გეგმებზე, მოსახლეობის წინაშე არსებულ საჭიროებებზე და მათი მოგვარების გზებზე იმსჯელეს.

მერმა, საბჭოს წევრებს, როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ბიუჯეტების დაფინანსებით განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია და აღნიშნა, რომ 2022 წელს ინფრასტრუქტურის კუთხით არსებული საჭიროებების უზრუნველსაყოფად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის, სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების დაფინანსებით განხორციელდა 114 ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელთა საერთო ღირებულება შეადგენს 19 079 101 ლარს.

დაფინანსების წყაროების მიხედვით, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან - 18 პროექტი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან - 39 პროექტი, სასკოლო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისთვის - 3 პროექტი, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში - 51 პროექტი, სტიქიის პრევენციის ფონდიდან - 2 პროექტი და მთის ფონდიდან - 1 პროექტი განხორციელდა.

აქცენტი გაკეთდა საგზაო ინფრასტრუქტურის მიმართულებით განხორციელებულ პროექტებზე, რომლის ფარგლებში, 2022 წელს ჯამში 16 კილომეტრამდე სიგრძის გზა მოწესრიგდა, დასრულდა 10 მასშტაბური პროექტი, 14 სოფელში კი „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში“ შიდა გზები მოწესრიგდა. ადმინისტრაციულ ერთეულებში განხორციელებული მასშტაბური საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტებია: სოფელ წყრუთისა და წირის დამაკავშირებელი გზა, სოფელ ტყემლანის საავტომობილო გზა, სოფელ თისელთან მისასვლელი საავტომობილო გზა, სოფელ წნისის შიდა საავტომობილო გზა, სოფელ გიორგიწმინდის შიდა საავტომობილო გზა, სოფელ საძელისა და ყულალისის დამაკავშირებელი გზა, სოფელ ანის საავტომობილო გზა.

საბჭოს წევრები ასევე გაეცნენ ქალაქ ახალციხეში მიმდინარე და განხორციელებულ საგზაო ინფრასტრუქტურულ პროექტებს, ესენია: საფარის ქუჩის მონაკვეთის რეაბილიტაცია, რუსთაველის ქ. №124-ისა და 9 აპრილის ქუჩების დამაკავშირებელი გზა, რაბათის დასახლებაში სასაფლაოსთან მისასვლელი გზა, თამარაშვილის ქუჩის მონაკვეთი.

მერმა ისაუბრა სასმელი წყლის სისტემებისა და სანიაღვრე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოებზეც. აღსანიშნავია, რომ სასმელი წყლის შიდა ქსელი მოეწყო სოფელ ურაველსა და მუგარეთში, ასევე სოფელ აწყურში განხორციელდა სასმელი წყლის შიდა ქსელის, სალექარისა და არსებული ფილტრების სარეაბილიტაციო სამუშაოები. დასრულდა ე.წ „მლაშიხევის“ დახურული სანიაღვრე არხის სამშენებლო სამუშაოები. პროექტი რამდენიმე ეტაპად განხორციელდა, მიმდინარე წელს, მე-3 ეტაპის ფარგლებში, 108 მეტრი სიგრძის რკინა-ბეტონის არხი მოეწყო, შედეგად, მიმდებარე ქუჩების მაცხოვრებლებისთვის წლების განმავლობაში არსებული პრობლემა მოგვარდა.

მერის განცხადებით, მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით გრძელდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციაც. დაზიანებული და ამორტიზებული სახურავები შეიცვალა 6 სახლში - რუსთაველის, ნათენაძის, იაძის, ივერიელის, ფარნავაზ მეფისა და ქეთევან დედოფლის ქუჩებზე.

ტურისტული და სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია განხორციელდა ახალციხის ხელოვნური ტბის მიმდებარედ, მოეწყო კალათბურთის, ფეხბურთისა და ჩოგბურთის მოედნები, საფეხმავლო და ველობილიკები, დასასვენებელი და საბავშვო- გასართობი სივრცეები.

ირაკლი ლაზარაშვილმა ისაუბრა რუსთაველის ქ. №124-ში განხორციელებულ და მიმდინარე მასშტაბური პროექტებზეც, აქ ახალგაზრდული ცენტრისთვის მოეწყო 2 სართულიანი და 3 სართულიანი შენობები, რეაბილიტაცია ჩაუტარდა სპორტულ კომპლექსს, გაიხსნა თანამედროვე სტანდარტების მქონე ახალი საბავშვო ბაღი, მოეწყო საგზაო ინფრასტრუქტურა და ამ ეტაპზე მიმდინარეობს სკვერის რეაბილიტაცია.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მუნიციპალიტეტის 46-ვე დასახლებაში სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა. მოსახლეობის მიერ არჩეულ პრიორიტეტებს შორის იყო შიდა გზები, გარე განათება, სასმელი და სარწყავი წყლის სისტემები, სანიაღვრე არხები, სკვერები და სხვა.

აღინიშნა, რომ პრიორიტეტს წარმოადგენს სკვერების და სპორტული მოედნების მშენებლობა-რეაბილიტაციაც, ქალაქ ახალციხეში ზარზმელის ქუჩაზე მოეწყო სკვერი და საბავშვო გასართობი სივრცე, ივანე ახალციხელის ქუჩაზე საბავშვო-გასართობი და სპორტული მოედნები მოეწყო, 9 აპრილის ქუჩაზე მოეწყო სკვერი, სოფელ ხეოთში ახალი სპორტული მოედანი მოეწყო, სოფელ ზიკილიაში სკვერი და სპორტული მოედანი ეწყობა, სოფელ სხვილისში და ქალაქ ახალციხეში, რუსთაველისა და ტაბიძის ქუჩებზე მიმდინარეობს სპორტული მოედნების მშენებლობა და ქალაქ ახალციხეში, კოსტავას და თამარ მეფის ქუჩებზე ეწყობა ახალი სკვერები.

ასევე ახალი გარე განათებები მოეწყო მუნიციპალიტეტის 15 სოფელში და ქალაქ ვალეში, ინფრასტრუქტურული პროექტები ადგილობრივი ბიუჯეტიდან და „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განხორციელდა.

მთის ფონდიდან დაფინანსდა სოფ. სხვილისის სარწყავი წყლის სისტემის და სატუმბი სადგურის რეაბილიტაცია, ხოლო სტიქიის სალიკვიდაციო ფონდიდან, ნაპირსამაგრი ნაგებობები მოეწყო მდინარე ფოცხოვზე ქალაქ ახალციხეში, ასპინძის ქუჩის მიმდებარედ და ქალაქ ვალეში.

რაც შეეხება, პროგრამას „განახლებული რეგიონები“, საქართველოს პრემიერ მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ინიცირებული მასშტაბური პროგრამის ფარგლებში, ურბანული განახლების პირველი ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოები უკვე დასრულებულია ქალაქის ცენტრალურ უბანში. კერძოდ, თამარაშვილის, კოსტავას, ნათენაძის და კეცხოველის ქუჩებზე რეაბილიტაცია ჩაუტარდა შენობებს, მოეწყო ქალაქის ცენტრალური პარკი და სკვერები. გამწვანების ღონისძიებების ფარგლებში სხვადასხვა სახეობის ახალი ნარგავებით შეივსო ქალაქის რეკრეაციული ზონები.

მერმა ისაუბრა ქალაქ ახალციხის სასპორტო სკოლის რეაბილიტაციისა და ღია სპორტული არენის მოწყობის შესახებ. მისი თქმით, მნიშვნელოვანია, რომ ქალაქში არსებობდეს მსგავსი სახის ღია სპორტული სივრცე, სადაც შესაძლებელი იქნება მოეწყოს ჩემპიონატები და შეჯიბრებები, ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოლაპარაკება მუნიციპალური განვითარების ფონდთან და შესაძლოა სწორედ მათი მხარდაჭერით დაიწყოს აღნიშნული პროექტის განხორციელება. როგორც, მერმა აღნიშნა, დაწყებულია მუნიციპალიტეტის საფეხბურთო გუნდის გაძლიერებაც, ამასთან ადგილობრივი თვითმმართველობა ყოველთვის მზად არის მხარდაჭერა გამოხატოს ყველა მიმართულებით, იქნება ეს სპორტი თუ ხელოვნების სფერო, სადაც შესაძლებელი იქნება მუნიციპალიტეტის სახელის წარმოჩენა.

ირაკლი ლაზარაშვილმა ისაუბრა მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურების უზრუნველყოფისათვის გადადგმულ ნაბიჯებზეც და მერიის გეგმებზე სატრანსპორტო საშუალებების შეძენისა და ავტო პარკისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობასთან დაკავშირებით. რაც შეეხება საჭირო ფინანსურ რესურსს, აღინიშნა, რომ მუნიციპალიტეტი მიმდინარე 2023 წელს საკმაოდ სოლიდური ბიუჯეტით იწყებს და ამ მიზნით თანხების მობილიზება შესაძლებელი იქნება.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი ქალაქში ახლადმოწყობილ პარკში, სკვერებსა თუ სპორტულ მოედნებზე მიზანმიმართული ვანდალიზმის ფაქტებსაც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ უკვე მიმდინარეობს ტენდერის მომზადება ვიდეო-სამეთვალყურეო კამერების შესაძენად და შესაბამისად გამკაცრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან მსგავს ქმედებებთან დაკავშირებით რეაგირება.

რაც შეეხება, მიმდინარე წელს დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს, საბჭოს წევრები გაეცნენ მასშტაბურ საგზაო სარეაბილიტაციო პროექტებს, მათ შორის თისელთან მისასვლელი საავტომობილი გზის, ტყემლანისა და საყუნეთის დამაკავშირებელი გზის, ქალაქ ახალციხეში ასპინძის ქუჩისა და სანიაღვრე არხის რეაბილიტაციის, ყაზბეგის ქუჩის რეაბილიტაციისა და აღნიშნულ ქუჩაზე მილხიდის მოწყობის, ასევე ნათენაძისა და დიდიმამიშვილის ქუჩებზე ასფალტის საფარის მოწესრიგების შესახებ, ასევე ქალაქ ვალეში დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტებს და სხვა.

თავის მხრივ, „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრებმა გამოთქვეს მოსაზრებები და თავიანთი იდეები და წინადადებები გააცნეს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელს. ირაკლი ლაზარაშვილმა მათ მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხა.

საბჭოს წევრმა, **აშოთ კავალერიანმა** ხაზი გაუსვა მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მნიშვნელობას და ამ მიმართულებით წინგადადგმული ნაბიჯები დადებითად შეაფასა, ასევე დაინტერესდა პროცესში აღნიშნული დარგის ადგილობრივი სპეციალისტების ჩართულობით. მერის განმარტებით, მიღებულია გადაწყვეტილება, საწყის ეტაპზე, მუნიციპალიტეტის რელიეფიდან გამომდინარე შეძენილი იქნას 6 მეტრიანი სამარშრუტო ტაქსები და 10 მეტრიანი ავტობუსები, ჯამში 13 ერთეული სატრანსპორტო საშუალება. მისივე თქმით ამ ეტაპზე მიმდინარეობს სატენდერო წინადადების მომზადება აღნიშნულთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, **ცირა მესხიშვილმა** ყურადღება გაამახვილა ახალციხის მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის 5 წლიან გეგმაზე, რომელიც მიმდინარე წელს სრულდება. მისი თქმით, ახალი გეგმის შედგენისას სასურველია საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობა, მათ შორის არასამთავრობო სექტორის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრების და სხვა. მისივე, თქმით, აუცილებლად უნდა გაგრძელდეს ის პოზიტიური კურსი, რაც მუნიციპალიტეტს აქვს აღებული ნარჩენების მართვისა და გარემოს დაცვის მიმართულებით. ცირა მესხიშვილმა ისაუბრა რაბათის ტყის რეკრეაციულ ზონად გადაქცევის იდეაზეც და ხაზი გაუსვა ქალაქისათვის აღნიშნული სივრცის მნიშვნელობას და აუცილებლობას.

საბჭოს წევრმა, **ციური ლაფაჩმა** დადებითად შეაფასა ზამთრის სეზონზე მერიის სამსახურების მუშაობა, აღნიშნა, რომ სწორედ ამის დამსახურებაა, რომ დიდთოვლობას მოსახლეობისათვის პრობლემები არ შეუქმნია, თუმცა მისივე თქმით მნიშვნელოვანია შიდა გზებსა და ცენტრალური მაგისტრალებთან ერთად, ეტაპობრივად ხორციელდებოდეს ფეხით სავალი ნაწილისა და ტროტუარების გაწმენდაც. მან, ასევე მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელს სამცხე-

ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის წინაშე არსებულ პრობლემებზე მიაწოდა ინფორმაცია, მუზეუმისათვის ადმინისტრაციული შენობისა და ექსპონატების საცავის აშენების საჭიროებას გაუსვა ხაზი და მერს ეროვნული მუზეუმის ხელმძღვანელობასთან შუამდგომლობა და კომპეტენციის ფარგლებში დახმარება სთხოვა. ციური ლაფაჩმა ასევე დადებითად შეაფასა ქალაქ ახალციხეში განხორციელებული მასშტაბური ინფრასტრუქტურული სამუშაოები და აღნიშნა რომ ქალაქის ცენტრალური ნაწილი მნიშვნელოვნად შეცვლილი და გალამაზებულია.

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერმა ირაკლი ლაზარაშვილმა მუნიციპალიტეტის მასშტაბით, როგორც ქალაქ ახალციხეში, ისე სოფლებამდე მისასვლელ გზებზე დიდთოვლობის დროს გაწმენდით სამუშაოებზე ისაუბრა, აღნიშნა, რომ სერვის ჯგუფის თანამშრომლები მუდმივ რეჟიმში ახორციელებენ სამუშაოებს. თუმცა უხვი ნალექის, შენობების სახურავებიდან ჩამოსული წყლისა და ძლიერი ყინვის გამო ტროტუარებზე პრობლემები მაინც იქმნება, რასაც შეძლებისდაგვარად ეტაპობრივად აგვარებენ სერვის ჯგუფის თანამშრომლები.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა კერძო სექტორის პასუხისმგებლობასაც გაუსვეს ხაზი. მათი თქმით, მაღაზიებისა და კომერციული ობიექტების მეპატრონეებმა სასურველია, თავად უზრუნველყონ მიმდებარე ტროტუარების თოვლისგან და ყინულისგან გაწმენდა.

საბჭოს წევრმა **ვასილ კვინიცხაძემ,** ქალაქ ახალციხეში, ივანე ახალციხელის ქუჩაზე სასმელი წყლის სისტემის პრობლემაზე მიაწოდა ინფორმაცია მერს და დასახლების მაცხოვრებლების თხოვნა გადასცა. ასევე, დადებითად შეაფასა, ქალაქში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები. მათ შორის, რუსთაველის ქუჩა №124-ში დასრულებული სამუშაოები და ამავე ქუჩაზე, სოფელ ღრელის შესახვევიდან სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტამდე ტროტუარებისა და მწვანე ზოლის მოწესრიგების თხოვნით მიმართა მერს.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ირაკლი ლაზარაშვილმა ხაზი გაუსვა იმას, რომ, რუსთაველის ქუჩა №124-ში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების გარდა, მიმდინარე წელს 700 ბავშვზე გათვლილი ახალი სკოლის მშენებლობაც იწყება, რითაც კიდევ უფრო მეტ დატვირთვას შეიძენს ეს უბანი. რაც შეეხება, ტროტუარებს მერის თქმით, ნამდვილად სარეაბილიტაციოა და ამ მიმართულებით დაიგეგმება და განხორციელდება სამუშაოები. ასევე, როგორც ირაკლი ლაზარაშვილმა აღნიშნა, მიმდინარე წელს იგეგმება ახალი ნერგების შეძენაც და ქალაქის მასშტაბით არსებული მწვანე ზოლები მოწესრიგდება, შესაბამისად ახალი ნერგები დაირგვება ყველგან, სადაც ამის საჭიროება იქნება.

საბჭოს წევრმა **ჯაბა ნათენაძემ,** სოციალური ქსელში გამოკითხვის შედეგად მოსახლეობის მხრიდან შემოსულ პრობლემებზე მიაწოდა ინფორმაცია მერს. ისაუბრა კოსტავას და ხანძთელის ქუჩებზე სანიაღვრე არხებისა და საგზაო ინფრასტრუქტურულ პრობლემებზე, ასევე, ივანე ახალციხელის ქუჩაზე წყალმომარაგების სისტემისა და ჩატარებული სამუშაოების შედეგად გადათხრილი გზის პრობლემაზე, ქალაქ ვალეში ავარიული სახლების მდგომარეობაზე, ქალაქ ვალეში, მაჭარაშვილის ქუჩაზე კანალიზაციის სისტემის გაუმართაობაზე, ქალაქ ახალციხეში უპატრონო და მიუსაფარი ძაღლების პრობლემაზე და სხვა.

ჯაბა ნათენაძემ, განსაკუთრებული აქცენტი ქალაქ ვალეში ავარიული სახლების მდგომარეობის შესწავლისა და პრობლემის მოგვარების აუცილებლობაზე გააკეთა. მისი თქმით ამ მიმართულებით შემაშფოთებელი მდგომარეობაა, განსაკუთრებით მაღალი გამავლობის ავტო ტრანსპორტის, ე.წ. ტრაილერების გადაადგილების დროს და მერს სთხოვა აღნიშნული პრობლემით დაინტერესება, მისივე თქმით მოსახლეობის თხოვნაა შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც შეისწავლის შენობების მდგომარეობას.

აღნიშნულთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის მერმა განაცხადა, რომ დასახლებულ პუნქტში სიჩქარის შემზღუდველი ნიშნები დაემატება, რაც შეეხება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მდგომარეობის შესწავლას, ამ ეტაპზე უკვე დაწყებულია მათი ვიზუალური შესწავლა და გარკვეული მსჯელობა, იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება მოგვარებული იქნას ეს პრობლემა. მერმა აღნიშნა, რომ ქალაქ ვალეში უკვე დაგეგმილია 5 საცხოვრებელი კორპუსის გარე ფასადის რეაბილიტაცია და მიმდინარე წელს დაიწყება სამუშაოები. ეს არის პირველი ეტაპი და პროცესი გაგრძელდება მომავალშიც, შესაბამისად ეტაპობრივად დაემატება სარეაბილიტაციო პროექტები.

ჯაბა ნათენაძემ ასევე ხაზი გაუსვა სასმელი წყლის მიწოდების პრობლემას, როგორც ქალაქ ახალციხეში, ისე ქალაქ ვალეში. აღნიშნა, ივანე ახალციხელის ქუჩაზე წყალსადენი სისტემისა და გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მხრიდან განხორციელებული სამუშაოების შედეგად დაზიანებული გზის საფარის პრობლემების შესახებ.

ისაუბრა ქალაქში მიუსაფარი ცხოველების პრობლემებზე და დაინტერესდა, რა კეთდება ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში, ასევე მადლიერება გამოხატა მერიისა და ახალციხის სერვის ჯგუფის თანამშრომლების მიმართ, ვინც ზამთრის პერიოდში, დიდთოვლობის დროს ჩართულია გაწმენდით სამუშაოებში და აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი და დასაფასებელია ამ ადამიანების შრომა.

როგორც მერმა, ირაკლი ლაზარაშვილმა აღნიშნა მომავალში იგეგმება თოვლის საწმენდი, სარწყავი და მტვერსასრუტი მანქანების შეძენა, რაც სეზონურად კიდევ უფრო გააადვილებს საჭირო ღონისძიებების გატარებას, ამისათვის საკმაოდ სოლიდური ფინანსური რესურსია გათვალისწინებული ბიუჯეტში.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა აღნიშნა ისიც, რომ ქალაქის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის მიზნით მიმდინარე წლის გაზაფხულიდან იწყება მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება. პროექტის პრეზენტაცია იგეგმება მიმდინარე წლის მარტის თვეში და საზოგადოებას მიეწოდება დეტალური ინფორმაცია დაგეგმილი სამუშაოების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს, როგორც ქალაქ ახალციხის, ისე მიმდებარე სოფლებში წყალმომარაგების გაუმჯობესებას. აღინიშნა, ისიც რომ ქალაქის ცენტრალურ ნაწილში საკმაოდ მოძველებული და ამორტიზებული ქსელია, ხოლო შედარებით ახალია გარე უბნებში არსებული წყალმომარაგების სისტემა.

ქალაქ ვალეში, მაჭარაშვილის ქუჩაზე კანალიზაციის პრობლემასთან დაკავშირებით კი აღინიშნა, რომ წყალმომარაგების კომპანიას საკითხი შესწავლილი აქვს და მიმდინარეობს სამუშაოების დაგეგმვის პროცესი პრობლემის აღმოსაფხვრელად. მერმა ხაზი გაუსვა

გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასთან აქტიურ თანამშრომლობას და მათი მხრიდან პრობლემებზე და საჭიროებებზე დროულ რეაგირებას.

რაც შეეხება, მიუსაფარი ცხოველების საკითხს, აღინიშნა რომ ა(ა)იპ „ახალციხის სერვის ჯგუფი“ ახორციელებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოხეტიალე უპატრონო და მიკედლებული ცხოველების გადაყვანას შესაბამისი პროცედურებისთვის ქალაქ გორში, ა(ა)იპ „მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალურ სააგენტოში“. ცხოველების იმუნიზაციის, ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაციის და სტერილიზაცია-კასტრაციის ღონისძიებები ხორციელდება პერიოდულად, საჭიროების შესაბამისად. მერმა იმედი გამოთქვა, რომ ამ კუთხით არსებული პრობლემები მალე მოგვარდება, ამ ეტაპზე წინა სამუშაო პროცედურები და შეთანხმება მიმდინარეობს რეგიონში მიუსაფარ ცხოველთა თავშესაფრის ინტერმუნიციპალური ორგანიზაციის ჩამოყალიბების მიზნით, რომელიც ტერიტორიულად ბორჯომში იქნება.

საბჭოს წევრმა, **მერაბ ბერიძემ,** დადებითად შეაფასა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მუშაობა, აღნიშნა, რომ საბჭო ჩამოყალიბდა ერთ გუნდად, რომელიც ორიენტირებულია მუნიციპალიტეტში პრიორიტეტული საკითხების წამოწევაზე და მადლობა გადაუხადა საბჭოს თითოეულ წევრს ამ აქტიურობისა და თანამშრომლობისათვის.

საბჭოს წევრმა **ალექსანდრე ლომსაძემ** თაყაიშვილის ქუჩაზე სანიაღვრე არხის პრობლემისა და მათი ე.წ. ცხაურებით დახურვის თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელს, ასევე კიდევ ერთხელ დააყენა საკითხი ამავე ქუჩაზე, მდებარე ერთ-ერთ მშენებარე სახლში ანტისანიტარიის გამო შექმნილი პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, **ნათია ტაბლიაშვილმა** ქალაქ ახალციხეში ახლადშექმნილი საბალეტო სტუდიის შესახებ ისაუბრა და ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში მსგავსი სიახლეების მნიშვნელობას გაუსვა ხაზი. მან მერს სტუდიის ფუნქციონირებისათვის საჭირო ფართთან დაკავშირებულ პრობლემებზე მიაწოდა ინფორმაცია და შესაძლებლობის ფარგლებში სთხოვა ამ კუთხით დახმარება.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა, ირაკლი ლაზარაშვილმა, პროგრამის „განახლებული რეგიონები“ ფარგლებში დასრულებულ სამუშაოებზე გაამახვილა ყურადღება, აღნიშნა, რომ იმ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში, სადაც გარე ფასადებს ჩაუტარდათ რეაბილიტაცია, შენობების შიდა ფასადებისა და სადარბაზოების რეაბილიტაციაც იგეგმება მუნიციპალიტეტის მხრიდან.

ყურადღება გამახვილდა სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაზე, აღინიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერიისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობა და პოპულარიზაცია. მერის განცხადებით, გასულ წელს 5 სპორტული მოედნის მშენებლობა დაიწყო, რომელთა ნაწილი უკვე დასრულებულია, ნაწილი კი მიმდინარე წელს დასრულდება, ასევე დამატებით 5 სპორტული მოედნის მშენებლობა იგეგმება 2023 წელსაც.

მერმა ახალციხის სამუსიკო სკოლის შენობის რეაბილიტაციაზე, მისთვის ორბელიანების სასახლის სახით, პირვანდელი სახის დაბრუნების იდეაზე ისაუბრა და დაინტერესდა საბჭოს

წევრების მოსაზრებით ამ საკითხთან დაკავშირებით. მისივე თქმით, შესაძლებელი იქნება რეაბილიტაციის შემდეგ შენობაში მოეწყოს მაღალი დონის ხელოვნების ცენტრი, საგამოფენო და კულტურული ღონისძიებებისათვის შესაბამისი სივრცეებით. მერის მიერ გაჟღერებული იდეა საბჭოს წევრებმა დადებითად შეაფასეს. როგორც ირაკლი ლაზარაშვილმა განაცხადა, აღნიშნული საკითხი საზოგადოების მსჯელობის საგანს წარმოადგენს და გადაწყვეტილება ერთობლივად უნდა იქნას მიღებული.

სხდომის დასასრულს მერმა კიდევ ერთხელ მადლობა გადაუხადა „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ თითოეულ წევრს აქტიურობისა და ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის, რომელიც მოსახლეობის საჭიროებების გამოვლენაზე და არსებული პრობლემების მოგვარებაზეა ორიენტირებული.

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრები:

1 ნუგზარი თათეშვილი _____

2 ცირა მესხიშვილი _____

3 ამალია სარქისიან _____

4 ნინო რუხაძე _____

5 ბელა ავალიშვილი _____

6 ომარი ჯაყელი _____

7 ნონა ონიანი _____

8 აშოთ კავალერიან _____

9 გურამი ჯინჭველაძე _____

10 მაია გაჩეჩილაძე _____

11 ბიჭიკო მოდებაძე _____

12 ჯაბა ნათენაძე _____

13 გიორგი ბუცხრიკიძე _____

14 მერაბი ბერიძე _____

15 მაკა ბერიძე _____

16 შალვა ტაბატაძე _____

17 ნიკოლოზ ხიზაძე _____

18 ციური ლაფაჩი _____

19	ვასილი კვინცხაძე	
20	თამარ კაპანაძე	
21	ალექსანდრე ლომსაძე	
22	ნინო ხაზალაშვილი	
23	მანუჩარ გოგოლაური	
24	რომან მაისურაძე	
25	ნათია ტაბლიაშვილი	
26	ნატალი სისვაძე	
27	მეგი თათეშვილი	